ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №13

12 ივლისი 2022 წელი

11:30 საათი

ა/წ 12 ივლისს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. ირაკლი ხელაძე (თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი);
2. ანა კაკაბაძე;
3. ლილე ლიპარტელიანი;
4. ვახტან სურგულაძე;
5. მამუკა გუგეშაშვილი;
6. სოფიო ჯაფარიძე.

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი.

სხდომის დღის წესრიგი:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ირაკლი ხელაძე. სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დამსწრე წევრებს წარუდგინა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის დღის წესრიგი და სიტყვა გადასცა მომხსენებელს გელა ჩივიაშვილს.

წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნებისა და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის

გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 16 09) – 145,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 16 10) – 22,0 ათასი ლარი.

მცირდება სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება (კოდი 06 02 24) – 6,0 ათასი ლარი.

ამასთან, ბიუჯეტში ემატება ახალი ქვეპროგრამა - მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა (კოდი 06 02 03) – 6,0 ათასი ლარი.

სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული 18-დან 21 წლამდე ასაკის ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული ახალგაზრდებისათვის, ახალგაზრდული საცხოვრისების მომსახურების დაფინანსება არამატერიალიზებული სახის ვაუჩერით. გათვალისწინებულია შემდეგი მომსახურებებით უზრუნველყოფა: 1. ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შედგენა; 2. საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა; 3. მოკლევადიანი პროფესიული გადამზადება და დასაქმების ხელშეწყობა; 4. ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის გაწევა; 5. ცნობიერების ამაღლება; 6. სამოქალაქო და არაფორმალური განათლების დონის ამაღლება; 7. ბენეფიციარის პირველადი სამედიცინო საჭიროებების მხარდაჭერა. ქვეპროგრამის მოსარგებლედ პირის აღიარების გადაწყვეტილებას იღებს მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოს -„სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების 40 სააგენტოს“ - რეგიონული საბჭო. ვაუჩერის ღირებულება ერთი ბენეფიციარისათვის შეადგენს 500 ლარს თვეში.

ასევე, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ტექსტურ ნაწილში და თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (კოდი: 06 02 21) ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით,

ქვეპროგრამის მიზანია თბილისში თავშესაფრის არმქონე მოქალაქეების უზრუნველყოფა საცხოვრებელი ადგილით, მათი საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილება, პირველადი სამედიცინო მომსახურებითა და პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი ნივთებით უზრუნველყოფა. გარდა ამისა, გათვალისწინებულია პალიატიური ზრუნვის და ალკოდამოკიდებულ პირთათვის შესაბამისი მომსახურების გაწევა. ასევე, გათვალისწინებულია ლილოს, ორხევის, ვარკეთილის და დიდი დიღმის სოციალური საცხოვრისების მოვლა-პატრონობა და რემონტი.

კომისიის წევრმა ანა კაკაბაძემ იკითხა 18-21 წლამდე პირებისთვის რაიმე პროფესიის მიცემას ან გადამზადებას ხომ არ გულისხმობს მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის ახალი პროგრამა.

გელა ჩივიაშვილის თქმით 18-დან 21-წლამდე პირებისთვის პროფესიული პროგრამების სწავლებას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს.

კომისიის წევრი ვახტანგ სურგულაძე დაინტერესდა როგორ იქნება მოძიებული ფინანსები ზემოთაღნიშული ახალი ქვეპროგრამის განსახორციელებლად.

გელა ჩივიაშვილმა განმარტა, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის ქვეპროგრამის განსახორციელებლად თანხა მოძიებულია შიდა რესურსებით, რაც შესაბამისად არ გამოიწვევს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ცვლილებას.

სხდომის თავმჯდომარე ირაკლი ხელაძე დაინტერესდა, არსებობს თუ არა სტატისტიკა თავშესაფრის არმქონე ალკოდამოკიდებული პირების შესახებ.

გელა ჩივიაშვილის ინფორმაციით ამ ეტაპზე არ მოიპოვება ზუსტი სტატისტიკა, თუმცა პირველ ეტაპზე თავშესაფრის შესაბამისი სერვისი გათვლილი იქნება 10 ბენეფიციარზე და სექტემბრიდან თბილისის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ადამიანებს გაუწევს დახმარებას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი დააყენა კენჭისყრაზე. აღნიშნულ საკითხს კომისიის წევრების უმრავლესობამ დაუჭირა მხარი.

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

კომისიამ დაადგინა

წარმოდგენილი პროექტი განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი ირაკლი ხელაძე